ქუთაისის უნივერსიტეტი

ქუთაისის უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება

ს 10

12/01/2023

შპს ქუთაისის უნივერსიტეტში 2022-2023 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში მობილობის პროცესის ადმინისტრირების ვადების, ვაკანტური ადგილების რაოდენობის და წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 04 თებერვლის 10-ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის“ მე-9 მუხლის, სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უფროსის 2022 წლის 29 ივლისის N1.1/74 ბრძანების „2022-2023 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტის ერთი დაწესებულებიდან სხვა დაწესებულებაში გადასვლის (მობილობის) პროცესის ადმინისტრირებასთან დაკავშირებული ვადების განსაზღვრის შესახებ“, შპს ქუთაისის უნივერსიტეტის დებულების მე-5 მუხლის მეორე პუნქტის „რ“ ქვეპუნქტის, შპს ქუთაისის უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მე-14 მუხლისა და შპს ქუთაისის უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტის დეკანის თეონა გრიგოლაშვილის 2023 წლის 12 იანვრის სამსახურებრივი ბარათის (შიდა რეგისტრაციის ნომერი:55) საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს შპს ქუთაისის უნივერსიტეტში 2022-2023 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში მობილობით გადმომსვლელ სტუდენტთათვის ვაკანტური ადგილების რაოდენობა და სწავლის საფასური დანართი№1-ის შესაბამისად.
2. დამტკიცდეს შპს ქუთაისის უნივერსიტეტში 2022-2023 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში მობილობის პროცესის ადმინისტრირების ვადები და წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა დანართი№2-ის შესაბამისად.
3. დაევალოს შპს ქუთაისის უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის ადმინისტრირების სამსახურს ვაკანტური ადგილების შესახებ ინფორმაციის ასახვა მობილობის ელექტრონულ ანკეტა-კითხვარში არაუგვიანეს 2023 წლის 20 იანვრისა.

4. დაევალოს შპს ქუთაისის უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მარკეტინგის სამსახურს ამ ბრძანების ქუთაისის უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე (www.unik.edu.ge) გამოქვეყნების უზრუნველყოფა.
5. დაევალოს შპს ქუთაისის უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების სამსახურს ბრძანების მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად დაინტერესებულ პირთათვის გაცნობის უზრუნველყოფა.
6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ქუთაისის უნივერსიტეტი
რექტორი
თუთბერიძე გოჩა